# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 527

19 ნოემბერი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში (საკადასტრო კოდი: №01.19.16.002.174.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში (საკადასტრო კოდი: №01.19.16.002.174.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 27 ოქტომბრის №21.1480.1657 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, მეორე სართულზე მდებარე 40.34 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.16.002.174.01.505), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ბელა გელაშვილთვის (პ/ნ. 60001034752) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთის თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარის**
**მოვალეობის შემსრულებელი** — **გიორგი ახვლედიანი**